

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

Grigol Robakidze University

ხელნაწერის უფლებით

With the right of manuscript

სოფიო ბარნაბიშვილი

Sophio Barnabishvili

მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია: საკუთრების უფლებისა და
მფლობელობის თანაფარდობა

Land Registration: The Relationship Between Ownership and
Possession

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი

Educational programme: Law

დისერტაცია წარდგენილია სამართლის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

Thesis is presented for obtaining of the PhD Degree in Law

რეზიუმე

Abstract

თბილისი

Tbilisi

2026

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

სოფიო ბარნაბიშვილი

მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია: საკუთრების უფლებისა და
მფლობელობის თანაფარდობა

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი

დისერტაცია წარდგენილია სამართლის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

რეზიუმე

თბილისი

2026

2

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი:

ზურაბ ძლიერიშვილი

სამართლის დოქტორი,

პროფესორი

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. თბილისი, ირინა ენუქიძის N3 (აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ)

სარჩევი

შესავალი	5
მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა	12
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა	14
კვლევის შედეგები, მიგნებები და მეცნიერული განსჯა.....	23
დასკვნა და რეკომენდაციები	27
Introduction	36
Methodology and research description.....	40
Methodology and Research Description.....	42
Research results, findings, and scientific judgment	44
Conclusion and recommendations	46

შესავალი

მიწათსარგებლობის სისტემის წარმოშობას ქალაქად მცხოვრები პირებისა და სოფლად არსებული კომლებისათვის დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა საქართველოში, მიწის განკერძოებისა და მონაცემების აღრიცხვის გზით, მფლობელობის ინსტიტუტის ჩამოყალიბება 1990 - იანი წლების დასაწყისიდან იღებს სათავეს. სამოქალაქო ბრუნვაუნარიანობის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი გახდა სახელმწიფოში არსებული მიწის რეგისტრაციის გამართული სამართლებრივი მექანიზმის შექმნა, რის საფუძველზეც ერთმანეთისაგან გაიმიჯნა მიწის სახელმწიფო და მუნიციპალური ფონდი, ვინაიდან კომერციული თვალსაზრისით, საერთაშორისო ასპარეზზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივის შეუფერხებელი მართვა და განკარგვა საინვესტიციო გარემოს ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია.

წინამდებარე დისერტაციაზე მუშაობისას გამოიკვეთა, რომ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში შემაფერხებელი ფაქტორია მფლობელისა და მესაკუთრის ინტერესების არსებობა ერთი და იმავე მიწის ნაკვეთზე. მფლობელობის ფაქტისა და საკუთრების უფლების თანაფარდობის ფარგლებში განხორციელებული

კვლევის საფუძველზე, მიწის ნაკვეთზე სამართლებრივი რეგულირების შესწავლის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, შესაძლებელი იქნება მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი მფლობელისა და უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით განსაზღვრული „მართლზომიერი მოსარგებლის“, „მესაკუთრის“ ინტერესის უპირატესობის სტანდარტის დადგენა, რითაც გამარტივდება მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის პროცესი.

არსებული სარეგისტრაციო სისტემის შესწავლის პროცესში შეფასდა რამდენად ქმედითია არსებული საკანონმდებლო რეგულაციების ფარგლებში დაშვებული შეღავათები მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვებისას. იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლის მიერ არ დადგინდება საკუთრების უფლებისა და მფლობელობის ფაქტის თანაფარდობის სტანდარტი, შეუძლებელი გახდება მიწაზე საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაცია, რაც ასევე შემაფერხებელი ფაქტორია მიწის ბაზრის განვითარებისა და საინვესტიციო პროექტების განხორციელების პროცესში.

მიწის ნაკვეთებზე უფლების რეგისტრაციის მიზნით განხორციელებული რეფორმის შედეგებიდან ირკვევა, რომ

არსებული სამართლებრივი რეგულაციები ვერ უზრუნველყოფს მიწაზე უფლების შეუფერხებლად რეგისტრაციას. კვლევის პროცესში შეფასდა თვითმმართველ ერთეულთან არსებული აღიარების კომისიების მიერ აღიარებული საკუთრების უფლებისა და სისტემური რეგისტრაციების შედეგად, მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ, მიწაზე აღიარებული უფლებების მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და აღიარების კომისიების ფუნქციონირების პერსპექტივა. თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების საკანონმდებლო შესაძლებლობა არამართლზომიერი მოსარგებლეების მიერ სახელმწიფო თუ მუნიციპალური ქონების მიტაცების თვითიმედოვნებას აძლიერებს. მიწის ბაზრის განვითარებისათვის აუცილებელია განკერძოებული და საჯარო ფონდების მოცულობების სრულყოფილად დადგენა, რითაც შესაძლებელი გახდება ურბანული არეალის განვითარება, როგორც სამშენებლო, ისე აგრარული თვალსაზრისით, მიწის კონსოლიდაციის სისტემის შექმნის გზით. აღნიშნული ინფორმაციის არარსებობის პირობებში სახელმწიფოს არ გააჩნია სწორი მონაცემი ათვისებული და ათვისებელი მიწების თაობაზე.

ვინაიდან, რეგისტრაციის ფაქტს საკუთრების უფლების წარმოშობის პროცესში კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს,

კერძო სამართლებრივ ურთიერთობებზე საჯარო აქტის გავლენის ფარგლებში, ნაშრომში მეცნიერულად აიხსნა საჯარო სერვიტუტის საკანონმდებლო რეგულაციის აუცილებლობა. მიწასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია სხვადასხვა იერარქიის მქონე საკანონმდებლო აქტით. ამასთან, მიწა, როგორც სახელმწიფოს ეროვნული სიმდიდრე, მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით, ფრაგმენტირებულია.

სადისერტაციო კვლევის პროცესში განხორციელებული შედარებით-სამართლებრივი კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მიზანშეწონილია სამოქალაქო სამართალს გამოეყოს მიწის სამართალი, როგორც კერძო სამართლის ცალკე დარგი. ამასთან, სასურველია მიწასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების ჰარმონიზაცია მიწის კოდექსის მიღებით, რომელიც სხვადასხვა საკანონმდებლო აქტის გაერთიანებასთან ერთად, გაითვალისწინებს კვლევაში გამოვლენილ, საკანონმდებლო რეგულაციის მიღმა დარჩენილ საკითხებს. მიწის, როგორც ბუნებრივი რესურსის ფრაგმენტაციის თავიდან აცილების მიზნით, უმჯობესია შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მიწის კონსოლიდაციის სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მიწის მიზნობრივი დანიშნულების დაცვასა და მის რაციონალურ გამოყენებაზე. მფლობელობაში არსებულ მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვება ორი გზით

ხორციელდება: 1. საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე უფლების რეგისტრაციის გზით; 2. მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე საკუთრების უფლების აღიარების გზით, რაც ასევე უფლების რეგისტრაციას გულისხმობს.

მიწის, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი ობიექტის მართვა-განკარგვასთან დაკავშირებული საკითხების სხვადასხვა სამართლებრივი აქტებით მოწესრიგების შედეგად, მიწის სამართლის სფეროში გამოყენებული ტერმინების სხვადასხვა განმარტებას ვხვდებით. მიუხედავად იმისა, რომ ქართული სარეგისტრაციო სისტემა ტექნოლოგიური პროგრესის თვალსაზრისით მსოფლიოში მოწინავეა, ამასთან ელექტრონულ საინფორმაციო პლატფორმაზე არაერთი საინფორმაციო რგოლია ხელმისაწვდომი, მიწის რეფორმის ფარგლებში საზოგადოების ნაწილისათვის გაუგებარია როგორ შეიძლება გადამოწმდეს ინფორმაცია დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მიმდინარე სარეგისტრაციო წარმოების შესახებ. ამასთან, რეფორმის ფარგლებში, საკანონდებლო მოწესრიგებას საჭიროებს გამოყენებული ელექტრონული საშუალებებით დაინტერესებულ პირთან კომუნიკაციის პროცესი და ადგილზე დათვალიერების ოქმზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დადგენა.

აღნიშნული საკითხები, მიმდინარე მასშტაბური რეფორმის კვალდაკვალ გაანალიზებასა და სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს, რამაც განაპირობა სამეცნიერო ინტერესი და მისი სამართლებრივი რეგულირების, ცნებების განსაზღვრის, მიწის სამართლის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების საჭიროება. სადისერტაციო კვლევაში შეფასებულია რეფორმის თითოეულ ეტაპზე გამოვლენილი ნაკლოვანება და მათი გავლენა შემდგომ მცდელობებზე, მიწაზე უფლებების სრულყოფილი რეგისტრაცია მომხდარიყო. ნაშრომი მოაზრებულია პრაქტიკულ სახელმძღვანელოდ ყველა იმ სუბიექტისათვის, რომელიც დაინტერესებულია მიწის სამართლისა და რეგისტრაციის თანამედროვე სისტემის შესწავლით.

კვლევითი ნაშრომი შედგება ათი ნაწილისგან, რომელთაგან ძირითადი კვლევა II- IX ნაწილებში არის წარმოდგენილი, ხოლო I და X ნაწილი მოიცავს შესავალს, დასკვნით დებულებებსა და რეკომენდაციებს.

სადისერტაციო ნაშრომი გამოვლენილი სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შესწავლის, განმარტებების, ანალიზისა და რეკომენდაციების შეთავაზების პირველი მცდელობაა, ვინაიდან აუცილებელია მიწის, როგორც ყველაზე ღირებული აქტივის, დაცვისა და სწორი სამეურნეო

განვითარებისათვის სახელმწიფოებრივი, სამოქალაქო და კომერციული ინტერესების ჰარმონიზაცია, რომელიც შესაბამისი სამართლებრივი და ტექნოლოგიური გარანტიების შექმნის შედეგად მიიღწევა. ჩატარებული მეცნიერული კვლევის შედეგად შეთავაზებულია თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე რეკომენდაციები, რომლებიც საშუალებას იძლევა ჩამოყალიბდეს მფლობელობის ახლებური განმარტება მიწის სამართლის კონტექსტში, შემოღებულ იქნას სპეციალური ტერმინი, მიწის კოდექსთან ერთად, აღიწეროს კოდექსის მიღების მეთოდოლოგია, შეიქმნას მიწის კონსოლიდაციის სააგენტოს მთავარი სტრატეგია. შედეგად შესაძლოა განვითარდეს მსჯელობა მიწის სამართლის სანივთო სამართლისაგან გამიჯვნის თაობაზე. შესაბამისად, გადაიხედება საკუთრებაში მოაზრებული სამ კომპონენტთან ტრიადა და მის ნაცვლად შემოთავაზებული იქნება ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს მიწაზე საკუთრების უფლებისა და მფლობელობის თანაფარდობის ურთიერთგამიჯვნას, რაც შექმნის მიწის სამართლის კონცეფციას ახალ სტრუქტურასთან ერთად, რაც გახდება კერძო სამართლის ახალი დარგის, მიწის სამართლის აღმოცენების წინაპირობა.

ჰიპოთეზა: სავარაუდოდ, საქართველოში მიმდინარე მიწის რეფორმის ჩვეულებითი სამართლის გავლენით მიღებულ მოდერნისტულ სოციალურ კონსტრუქციაზე დაფუძნების

შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მფლობელობა განიმარტება, როგორც სარგებლობისა და განკარგვის შესაძლებლობა და უფლებრივი კატეგორია, საფუძველი შეიქმნება „კონსერვაციის პრინციპის“ დანერგვისა და მესაკუთრის გულისხმიერების პრინციპალური დანაწესის კანონით განმტკიცებისათვის, შესაძლებელი გახდება მიწის სამართალში ახალი სუბიექტის ცნების შემოღება და კერძო სუბიექტების კანონიერ ინტერესზე საჯარო სერვიტუტის სამართლებრივი რეგულაცია.

მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა

დისერტაციაში გამოყენებულია კვლევის სხვადასხვა მეთოდი: შედარებითი სამართლის მეთოდი, ისტორიული მეთოდი, ჰერმენევტიკული მეთოდი, ანალიტიკური მეთოდი, დესკრიფციული მეთოდი, სინთეზური მეთოდი, ფორმალურ-იურიდიული მეთოდი.

შედარებითი სამართლის მეთოდის ფარგლებში საკვლევი თემა შესწავლილია ქართული და უცხოური სამეცნიერო იურიდიული ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე. საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ნორმები, სამეცნიერო დასკვნები და სასამართლო პრაქტიკა შედარებულია ქართულ სამართალსა და

სასამართლო პრაქტიკასთან. აღნიშნული მეთოდის დახმარებით გამოვლენილია სხვადასხვა ქვეყნისა და საქართველოს სამართლებრივ აქტებში, სარეგისტრაციო და სასამართლო პრაქტიკაში არსებული მსგავსებები და განსხვავებები. გამოტანილია შესაბამისი დასკვნები. გაანალიზებულია სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო ლიტერატურა.

ისტორიული მეთოდის გამოყენებით სადისერტაციო კვლევაში აღწერილია მფლობელობისა და საკუთრების უფლების ცნების ისტორიული განვითარება და მნიშვნელობა, მიწის რეფორმის ეტაპები, სარეგისტრაციო სისტემის როგორც ორგანიზაციული, ისე სამართლებრივი განვითარების ეტაპები.

ჰერმენევტიკული მეთოდის საფუძველზე განმარტებულია სამართლებრივი ნორმა კანონმდებლის ნების გამოვლენისა და მისი ობიექტური შინაარსის დადგენის მიზნით. ამასთან, ხაზგასმულია ნორმის პრაქტიკაში მოქმედება და მისი ე.წ. „De Facto“ მნიშვნელობა. ანალიტიკური მეთოდის გამოყენებით შესწავლილ იქნა საქართველოს მუნიციპალიტეტებსა და სარეგისტრაციო სამსახურებში არსებული მონაცემები მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე.

დესკრიფციული მეთოდის გამოყენებით კვლევაში განვითარებულია აღწერითი მსჯელობა, რომელის მიზანია

საკვლევი თემის ირგვლივ ინფორმაციის გადმოცემა. თეორიული ინფორმაცია განზოგადებულია ნაშრომის შესაბამის ნაწილებში. სადისერტაციო კვლევაში სინთეზური მეთოდის გამოყენებით ხაზგასმულია კვლევის აქტუალური საკითხები, ინდივიდუალურად დახასიათებულია ფუნდამენტური ელემენტები და გაკეთებულია ანალიტიკური შეფასება.

ფორმალურ-იურიდიული მეთოდის გამოყენებით განისაზღვრა კვლევის საგანთან დაკავშირებული იურიდიული ცნებები, დაზუსტდა მოქმედი კანონმდებლობის ნორმები, გამოვლინდა ფაქტის დადგენის სამართლებრივი კრიტერიუმები. განხორციელდა ნორმატიული მასალის შესწავლა და აღნიშნულის საფუძველზე ჩამოყალიბდა შესაბამისი რეკომენდაციები. კვლევის ფარგლებში შეფასებულია უფლების აღრიცხვის სამართლებრივი მექანიზმი და მისი ხანდაზმულობის მიზანშეწონილობის საკითხი.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

თანამედროვე სავაჭრო ურთიერთობების განვითარებასა და საინვესტიციო გარემოს გაფართოებასთან ერთად, დღის წესრიგში დადგა სანივთო სამართალში მოაზრებული სხვადასხვა ელემენტის მეცნიერული კვლევის საჭიროება დარგის წინაშე

არსებული გამოწვევების დასაძლევად. აღსანიშნავია, რომ სანივთო სამართლის სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მიწამ და მასთან დაკავშირებულმა სხვადასხვა სანივთო თუ ვალდებულებითმა უფლებებმა. ტრადიციული მრავალსაუკუნოვანი, თუ ზოგიერთ ქვეყანაში, მრავალწლიანი მიდგომები საკმარისი არ აღმოჩნდა იმ სირთულეების დასაძლევად, რაც განვითარებულ ინდუსტრიულ გარემოში სავაჭრო, საინვესტიციო პროექტების განხორციელების პროცესში წარმოიშვება.

დარგის შესწავლის პროცესში აღმოჩნდა, რომ სანივთო სამართალში გადახედვას საჭიროებს „მფლობელობის“ განმარტება, მიწაზე საკუთრების უფლების წარმოშობის კონტექსტში. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ეფექტიანი ათვისება დამოკიდებულია მასზე მოპოვებული უფლების რეალიზაციასა და სახელმწიფოში არსებული კონტროლის მექანიზმების გამოყენებაზე. აღმოჩნდა, რომ არაერთი ჩატარებული რეფორმის მიუხედავად საქართველოში ჯერჯერობით არ არის დანერგილი მიწის ფონდის მართვისა და განკარგვის მონიტორინგის სისტემა, რაც ხელს უწყობს მიწების დაყოფას - ფრაგმენტაციას, დანიშნულების ცვლილებას. აღნიშნული ქაოტური მოქმედებები მისი შემდგომი რეალიზაციის შემაფერხებელ ფაქტორად განიხილება.

წინამდებარე დისერტაციაზე მუშაობისას გამოყენებული კვლევის თეორიული კონტექსტი მოიცავს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერების, დარგის სპეციალისტების, პრაქტიკოსი იურისტების ნაშრომებს, მათ შორის სამეცნიერო ლიტერატურას, სახელმძღვანელოებს, სტატიებს, არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევებს, ქართულ და უცხოურ საკანონმდებლო მასალას, ელექტრონულ წყაროებს, საკონსტიტუციო, საერთო სასამართლოების და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებებს.

შესაბამისად, კვლევა დაფუძნებულია ქართულ და ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურაზე, გამოყენებულია ევროპის მიწის ასოციაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტატიები, რომლებშიც ასახულია ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარების მოსაზრებები, საჭიროებები, შესასწავლი დარგის წინაშე არსებული გამოწვევები და შესაბამისი რეკომენდაციები.

სახელმძღვანელოების წინასიტყვაობაში ხაზგასმულია, რომ ვინაიდან მიწის სამართალი ყველა მოწყვლადი ჯგუფის პირად ინტერესზე ახდენს გავლენას და ამასთან, სხვადასხვა საზოგადოებაში დაკავშირებულია სოციალურ-კულტურულ ფასეულობებთან და წეს-ჩვეულებებთან, მნიშვნელოვანია მიწის

სამართლის სისტემისა და მარეგულირებელი კანონმდებლობის შესახებ ინფორმაცია ყველა დაინტერესებული პირისათვის გასაგებ ენაზე იყოს მიწოდებული. დარგის სპეციალისტების ნაწილი თვლის, რომ მიწის სამართალი, ტექნიკური სამართალია, თუმცა აღნიშნულ მოსაზრებას, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, ყავს მოწინააღმდეგეებიც იმავე სფეროდან, ვინაიდან მიწის სამართალთან, ადამიანის იმანენტური თუ კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებები მჭიდრო კავშირშია.

მიწის სამართალი განიხილება, როგორც კერძო სამართლებრივი ინსტიტუტების მნიშვნელოვანი „მონაწილე“, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს საჯარო სამართლის გარკვეულ სფეროებთან, როგორც არის: სამშენებლო სამართალი, გარემოს დაცვისათვის განკუთვნილი რეგულაციები, ქონების ექსპროპრიაციის კანონმდებლობა და სხვა. ტექნიკური საკანონმდებლო რეგულაციებით შედგენილი მიწის სამართალი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის უფლებებზე, ღირსებასა და საკუთრების დაცვაზე.

წინამდებარე დისერტაციაზე მუშაობისას გამოყენებული ლიტერატურა სრულად მოიცავს შესასწავლ საკითხს და ყველა ძირითად პრიზმას. ნაშრომში აღწერილი მნიშვნელოვანი

შეფასებები, დასკვნები და მარეგულირებელი დოკუმენტები ცხადყოფს, რომ საკუთრების უფლებისა და მფლობელობის თანაფარდობის სტანდარტი და საკითხის მთავარი გამოწვევები დამუშავებულია სხვადასხვა წამყვანი ქვეყნის გამოცდილებისა და უნივერსიტეტების გამომცემლობაში დაბეჭდილი სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით. გამოყენებული ლიტერატურა მოიცავს როგორც ადგილობრივი მეცნიერების, ისე ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამეცნიერო მასალას. გარდა ამისა, განხილულია აფრიკის კონტინენტზე მოქმედი სამართლებრივი რეგულაცია, ვინაიდან ძირითადი კონცეფცია ჩამოგავს მიწის სამართლის ტრადიციულ მიდგომებს და წარმოადგენს ტრადიციებისა და თანამედროვე სამართლის კომბინაციას.

წინამდებარე დისერტაციის ფარგლებში დამუშავებული მასალა მოიცავს ქართულ და ინგლისურ ენაზე შექმნილ 88 ერთეულ სახელმძღვანელოს, 40 ერთეულ ნორმატიულ და ინდივიდუალურ საკანონმდებლო აქტს, 34 სასამართლო გადაწყვეტილებას, რომელშიც გაერთიანებულია როგორც საერთო სასამართლოების სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კოლეგიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ისე უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა. მარეგისტრირებელი ორგანოს 14 გადაწყვეტილებას, 29 ერთეულ

ელექტრონულ წყაროს, რომელიც მოიცავს როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე შედგენილ სტატიებს, სამეცნიერო კვლევებსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. კვლევაში ასევე გამოყენებულია 19 ერთეული ქართული და ინგლისურ ენოვანი მასალა, რომელიც მოიცავს მოხსენებებსა და ანგარიშებს, არასამთავრობო სექტორის მიერ ჩატარებულ კვლევებს.

კემბრიჯის უნივერსიტეტის 2005 წლის გამოცემა არის მეცნიერულად დამუშავებული ერთ-ერთ პირველი სახელმძღვანელო, სადაც საუბარია „ქონების ეტიკეტის“ არსებობის აუცილებლობაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ქონებრივი რესურსების პროდუქტიულ მართვას. საკუთრების ინსტიტუტი ადგენს იმ წესებს, რომლებიც მნიშვნელოვანია თითოეული ქვეყნის ეკონომიკური სტიმულირებისა და ახალი რესურსების მოპოვებისათვის, ხოლო სასრულ სიკეთებთან მიმართებით, მათი სწორად გამოყენებისა და ავტენტურობის შენარჩუნებისათვის, რომელიც არამხოლოდ მატერიალური სიკეთეა, არამედ მთელ რიგ ქვეყნებში წარმოადგენს კულტურულ და უფრო მეტიც, ეროვნულ ფასეულობას.

სწორედ ამიტომ ინგლისში მოქმედი მიწის კოდექსი რთული და მრავალმხრივი სამართლებრივი სისტემაა, რომელიც მიწის

საკუთრებისა და მფლობელობის საკითხებს არეგულირებს. მიწაზე საკუთრება ორდონიანია და მოიცავს როგორც სრულ, ისე შეზღუდულ საკუთრებას. ამასთან, მოქმედებს რეგისტრაციის ინსტიტუტი და მიწასთან დაკავშირებული კერძო დავების განხილვისათვის არსებობს სპეციალიზებული სასამართლო.

ინდიანას უნივერსიტეტის პროფესორები ელინორ ოსტრომი და შარლოტა ჰესი სახელმძღვანელოში, „კერძო და საერთო საკუთრების უფლებები“, ავითარებენ მსჯელობას იმის თაობაზე, რომ როგორც სამართლებრივმა, ისე პოლიტიკურმა სისტემებმა ცხადყო, რომ ინდივიდუალურ საკუთრებაზე დგას მეურნეობების განვითარება, შესაბამისად, მესაკუთრეს განსაკუთრებული როლი აქვს საზოგადოებაში. სახელმძღვანელოში განხილულია 2007 წელს ჩატარებული კვლევა განვითარებად ქვეყნებში - კენიასა და სუდანში, რომელიც მიზნად ისახავდა საერთო საკუთრების პირობებში იმის დადგენას თუ რამდენად ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა ეს სოფლის მეურნეობის განვითარების პროცესში. აღმოჩნდა, რომ კვლევისას მნიშვნელობა აქვს რეგიონის მასშტაბებსა და გეოპოლიტიკურ მდებარეობას. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, შვეიცარიასა და იტალიაში, ალპური სისტემების ქვეყნებში საერთო საკუთრების მართვასა და განკარგვას ადგილობრივი მუნიციპალური მთავრობები ახორციელებენ. შვეიცარიის ადგილობრივმა ხელისუფლებამ

აიღო დამატებითი პასუხისმგებლობა შეესწავლათ ალპური ზონები თითოეულ სოფელში და გაეცათ მისი სწორად მართვისათვის შესაბამისი რეკომენდაციები, თუნდაც უსაფრთხო ტურიზმის განვითარების მიზნით. ავტორთა კვლევა ცხადყოფს, რომ სახელმწიფოსა და კერძო პირებს შორის გამიჯნული საკუთრების ობიექტების არსებობის პირობებში, როგორც პირადი, ისე სახელმწიფოებრივი დივიდენდების მიღება, ეკონომიკური თვალსაზრისით, ბევრად უფრო ეფექტიანი მექანიზმია.

სამეცნიერო ლიტერატურის მოძიების ეტაპზე გამოიკვეთა, რომ სახელმძღვანელო მიწის სამართლის შესახებ, სანივთო სამართლისაგან დამოუკიდებლად 2009 წელს გამოიცა ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობაში. „მიწის სამართლის“ სახელმძღვანელოს ავტორები არიან კემბრიჯის სამართლის სკოლის პროფესორი კევინ გრეი და ინგლისისა და უელსის უმაღლესი სასამართლოების ადვოკატი, მიწის რეესტრში რეგისტრატორის ყოფილი თანაშემწე სუზან ფრანცის გრეი. მეცნიერთა მოსაზრება ეხმიანება იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ ვარაუდს იმის თაობაზე, რომ საკუთრების ბუნება ადამიანის იმანენტური ცნობიერიდან მომდინარეობს. შესაბამისად, ქონებრივი სამართალი შეფასდა, როგორც გამოყენებით ფსიქოლოგიის სფერო, სადაც საკუთრების კანონი

არის ადამიანის ფუნდამენტური ღირებულება. სახელმძღვანელოში განხილული საკითხები პასუხს სცემს შეკითხვებს, რომლებიც უკავშირდება სამართლიანობის ადგილს საკუთრების განაწილების პროცესში, არის თუ არა ბალანსი სამართლიანობას, საკუთრებას, თავისუფლებასა და ნივთის ეფექტიან ექსპლუატაციას შორის? და მაინც თანამედროვე გამოწვევების კვალდაკვალ რა არის საკუთრება? ინგლისში მიწის თანამედროვე კანონმდებლობა 2002 წლით თარიღდება. მიწის სამართლებრივი კონცეფცია განსაზღვრავს მიწის რაობას, ტერიტორიის, ბუნების, სასარგებლო წიაღისეულის, მიწისქვეშა სხვადასხვა კომპონენტის ფარგლებს. სახელმძღვანელო განმარტავს მიწას, როგორც საკუთრების ობიექტს და ასკვნის, რომ მიწა ეს არის გეომეტრიული მრავალგანზომილებიანი მყარი საგანი, რომელიც მოიცავს წყლით დაფარულ მიწასაც, წყლის ქვაბულს და ექცევა გარკვეული იურისდიქციის კონტურებში. აღსანიშნავია, რომ რუკების შედგენა ინგლისში 1791 წლიდან დაიწყო და დღემდე ციფრული ფორმატით გრძელდება.

მარტინ დიქსონმა 2016 წელს, სახელმძღვანელოს გადამუშავებული ვერსიაში, რიგით მესამე გამოცემაში, სახელწოდებით „მიწის თანამედროვე სამართალი“ ხაზი გაუსვა საკითხს, რომ ოცდამეერთე საუკუნეში, მიწის სამართლის პრინციპები ადამიანის ცხოვრების ყოველდღიურობად იქცა.

დიქსონი საჭიროდ თვლის მიწის სამართლის სფეროში არსებული წესებისა და პრინციპების ახსნას, ვინაიდან დროთა განმავლობაში მიწა გასცდა, როგორც მხოლოდ გეომეტრიული ფორმის ზედაპირის საზღვრებს და პრაქტიკაში განვითარდა მასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან ერთად. დიქსონი ამბობს, რომ იმ ადამიანებმა, რომლების ცდილობენ გარშემომყოფები დაარწმუნონ მიწის სამართლის ცალკე დარგად გამოყოფის საჭიროებაში, თუ ჯერ სათანადოდ არ უსმენენ „გააგრძელონ მარცხი“ მიწის სამართლის სწორად წარმოჩენამდე და იმუშაონ დარგის მუდმივ განვითარებაზე. ავტორი აცხადებს, რომ თუ აქამდე მიწის სამართალი რთული და საზოგადოებისაგან დისტანცირებული იყო, 21-ე საუკუნეში მიწის სამართალი ეს არის თანამედროვე იურისპრუდენციაში ერთ-ერთ წამყვანი დისციპლინა, ვინაიდან მან მოიცა თანამედროვე სამყარო და არის ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი, შესაბამისად მიწის სამართალი საზოგადოების ცხოვრებას ეხება.

კვლევის შედეგები, მიგნებები და მეცნიერული განსჯა

როგორც აღინიშნა, მიწათსარგებლობის სისტემის წარმოშობას ქალაქად მცხოვრები პირებისა და სოფლად არსებული

კომლებისათვის დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა საქართველოში ოფიციალურად მფლობელობის ინსტიტუტის ჩამოყალიბება და მიწის ნაკვეთების აღრიცხვა, მოსარგებლე პირების მითითებით, 1990-იანი წლებიდან იწყება. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა მუნიციპალიტეტებთან არსებული ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროები, მოგვიანებით კი მიწის მართვის დეპარტამენტი, სადაც დოკუმენტების საფუძველზე, მიწის ნაკვეთებისა და მოსარგებლების აღრიცხვა მიმდინარეობდა. ამჟამად, როგორც მოგეხსენებათ, მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ახორციელებს. ერთმანეთისაგან განსხვავდება სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის წესი, განსხვავებულია ამ მიწის ნაკვეთებზე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების ჩამონათვალი და სარეგისტრაციო პროცედურა. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, სახელმწიფო მიწის ფონდი დაიყო საპრივატიზაციო და სახელმწიფო ფონდებად. სადისერტაციო კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მოცემული მომენტისათვის, მარეგისტრირებელ ორგანოში დაცული ერთიანი ინფორმაცია აღნიშნული ფონდების რეალური მოცულობების შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამება.

როგორც აღინიშნა, მიწის სახელმწიფო რეფორმის პირველი ეტაპი 1990 წლებში დაიწყო, როდესაც სხვადასხვა უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე მიწის ნაკვეთები მოსახლეობას სარგებლობის უფლებით გადაეცა. მოგვიანებით, 2000 წლიდან იყო პირველი მცდელობა საკადასტრო ბაზის შექმნის თაობაზე, შემდეგ კი 2012 წლის დასაწყისის რეფორმა, რომელსაც ჰქონდა როგორც სისტემური, ისე სამართლებრივი პრობლემები.

შედეგად, მიწაზე უფლების მოპოვების პროცესში დიდი გამოცდილება დაუგროვდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და არაერთი საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე დაიწყო, წინა რეფორმის ტალღებთან შედარებით, ყველაზე სრულყოფილი რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავდა მანამდე არსებული ხარვეზების გამოსწორებას.

სადისერტაციო კვლევის საფუძველზე შესწავლილი იქნა მიწის სამართლის კონსტრუქცია ევროპული და ამერიკული გამოცდილების გათვალისწინებით, აფრიკული სახელმწიფოს მიწის სამართლის მაგალითზე კი წარმოდგენილია წინადადებები, თუ როგორ შეიძლება მიწის სამართალი აერთიანებდეს ჩვეულებებსა და თანამედროვეობას, სამართლის სოციალურ კონსტრუქციასა და მოწინავე ტექნოლოგიას.

შესაბამისად, წინამდებარე სადისერტაციო კვლევა დაეფუძნა მიწის სამართლის საერთაშორისო გამოცდილების შესწავლას, ქართული საკანონმდებლო აქტებისა და სამეცნიერო ლიტერატურის კვლევას, მარეგისტრირებელი ორგანოსა თუ სასამართლო გადაწყვეტილებებით დადგენილ პრეცედენტულ სამართალთან ერთად, რამაც განაპირობა მიწის სამართლის, როგორც ცალკე დარგის, წარმოშობის აუცილებლობაზე მსჯელობის განვითარება, მიწის კოდექსისა და მიწის კონსოლიდაციის სააგენტოს შექმნის გზით, მიმდინარე საყოველთაო რეფორმის დასრულების შემდგომ.

შემუშავდა მიწის სამართლის კოდექსის აგების მეთოდოლოგია და განისაზღვრა სავარაუდო თემატიკა. გარდა ამისა, წარმოდგენილია წინადადება სასოფლო-სამეურნეო სავარგულის მესაკუთრის აღმნიშვნელი ტერმინის დანერგვასთან დაკავშირებით, ახლებურად განიმარტა საკუთრების შინაარსი, კერძოდ, ტრიადა მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის შესახებ, მიწის სამართლის მიზნებისათვის, შესაძლოა მოიცავდეს მხოლოდ ორ კომპონენტს: სარგებლობასა და განკარგვას. მფლობელობა ქართული მიწის სამართლისათვის წარმოადგენს უფრო უფლებრივი მდგომარეობის ფაქტის გამომხატველ კატეგორიას, ვიდრე მხოლოდ ფაქტს, ვინაიდან მფლობელობამ, როგორც ფაქტმა, დროთა განმავლობაში

გარკვეული ცვლილებები განიცადა და საკუთრების უფლების წარმოშობისათვის უტყუარ საფუძვლად იქცა.

დასკვნა და რეკომენდაციები

სადისერტაციო კვლევის შედეგად ჩამოყალიბდა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობის არაერთი დებულება:

1. საქართველოში თემაზე: „საკუთრებისა და მფლობელობის უფლების თანაფარდობა მიწის ნაკვეთზე უფლების რეგისტრაციის მაგალითზე,“ თეორიული ასპექტების, ნორმატიული რეგულირების, სარეგისტრაციო და სასამართლო პრაქტიკის კომპლექსური ანალიზი არ ჩატარებულა.
2. საქართველოში არსებული საკომლო სამართალი რჩება სამოქალაქო კოდექსის მიღმა, რის გამოც საკომლო ურთიერთობები სამართლის სპეციალური ნორმებით წესრიგდება. საკომლო სამართალი შესაძლებელია შეფასდეს, როგორც მიწის სამართალში ჩვეულებითი სამართლის გავლენით არსებული სპეციალურ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც საჭიროებს განახლებული კონცეფციის შემუშავებას, რის შედეგადაც თანამედროვე

მიწის სამართალი დაეფუძნება საკომლო სამართალს, როგორც ეროვნულ სოციალურ მოდერნისტული კონსტრუქციას.

3. მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვების პროცესში, როგორც უფლების აღიარების, ისე უფლების რეგისტრაციის გზით, მიზანშეწონილია მიწის ქართულმა კანონმდებლობამ გაიზიაროს კონტინენტური ევროპის ქვეყნების გამოცდილება მიწის ნაკვეთის ფლობის ხანდაზმულობის ვადის შეკრებასთან დაკავშირებით და დაჯამდეს მამკვიდრებლისა და მემკვიდრის მიერ მიწის ფლობის ხანდაზმულობის ვადა და „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის 37⁵-ე მუხლის მე-8 პუნქტი შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდეს: „თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება დასაშვებია რეგისტრაციით დაინტერესებულ იმ პირზე, რომელიც 2007 წლის 20 სექტემბრისათვის იყო მიწის მფლობელი ან მისი სამართალმემკვიდრე“.
4. წინამდებარე სადისერტაციო კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მიზანშეწონილია მიწის კოდექსის ერთ-ერთ პრინციპად განისაზღვროს „კონსერვაციის პრინციპი“, როგორც მნიშვნელოვანი სამართლებრივი ცნება,

რომელიც განსაზღვრავს მიწის შესაბამისი დანიშნულებით გამოყენების ვალდებულებას. აღნიშნული პრინციპის ამოქმედება განამტკიცებს სახელმწიფოს მიერ მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებას, რომელიც შესაძლოა განხილულ იქნეს, როგორც ბალანსი კერძო საკუთრების უფლებასა და საჯარო ინტერესს შორის მიწათსარგებლობის სფეროში.

5. მიწის სამართალში აქამდე ცნობილი საკუთრების ტრიადა, ფრანგული სამოქალაქო კოდექსის გავლენით, მიზანშეწონილია შეიცვალოს ორი უფლებამოსილების მქონე კატეგორიით, ვინაიდან მიწით სარგებლობის ფაქტი უძრავი ნივთის საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველია იმ დათქმით, რომ მიწის სამართალში მფლობელობა შესაძლოა მეტყველებდეს ნივთის იმგვარი ფლობის სახეობაზე, რომელიც ნივთის დროებითი სარგებლობისა ან/და მისი განკარგვის უფლებამოსილებაზე მეტია და პირდაპირ ამ ნივთზე უპირობო საკუთრების უფლებას წარმოშობს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით, არსებული საკანონმდებლო დანაწესის შესაბამისად. სწორედ ამიტომ, წინამდებარე დისერტაციაში გამოთქმულია მოსაზრება ფლობის, როგორც ფაქტის, სხვაგვარი განმარტების

მიზანშეწონილობის თაობაზე მიწის სამართლის კონტექსტში, რის მიხედვითაც ფლობა, როგორც ფაქტი, მიწაზე განსაკუთრებულ უფლებამოსილებას წარმოშობს, რის გამოც ხდება საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველი.

6. მიწის სამართლის ერთიანი სტანდარტიზაციის პირობებში, მიზანშეწონილია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მესაკუთრე სუბიექტის აღნიშვნის მიზნით დაინერგოს ახალი ტერმინი: „მემამულე,“ რომელიც შესაძლოა განიმარტოს შემდეგნაირად: „მემამულე - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრე/მფლობელი, რომელიც იხდის მიწაზე დადგენილ გადასახადს და პასუხისმგებელია მიწის მიზნობრივი დანიშნულების გამოყენებაზე.“
7. მოქმედი მიწის კანონმდებლობა არ ადგენს განკარგული სახელმწიფო ქონების შემდგომი სწორი ექსპლუატაციის კონტროლის მექანიზმს. აღსანიშნავია, რომ განკერძოებული მიწის ფონდის სწორი ექსპლუატაცია პრიორიტეტული იყო 1990-იანი წლების მიწის კანონმდებლობაში. ახალი მიწის კოდექსით მიზანშეწონილია დარეგულირდეს სახელმწიფოს მიერ

განკარგული მიწის მიზნობრივი გამოყენების კონტროლის მექანიზმი.

8. მოქმედი საკანონმდებლო აქტების ჰარმონიზაციისა და სრულყოფის მიზნით მიზანშეწონილია მიწის კოდექსის შემოღება, რითაც უზრუნველყოფილი იქნება როგორც ყველა ადმინისტრაციული ერთეულის, ისე სარეგისტრაციო ზონის ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრება ადგილობრივი იდენტობის გათვალისწინებით, რაც ქვეყანაში მიწის, როგორც ყველაზე ღირებული რესურსის, ეფექტიანი მართვის სამართლებრივ შესაძლებლობას შექმნის.
9. სახელმწიფოში მიმდინარე ფართომასშტაბიანი რეფორმა ითვალისწინებს მანამდე არსებულ საკანონმდებლო მოწესრიგებასა და წინამორბედი რეფორმების შედეგებს, შესაბამისად, აღიარებს უფლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და მიწის ფლობის ფაქტის არსებობის აუცილებლობას. მიწის ნაკვეთის ფლობის ფაქტის დადასტურების შემდეგ კი იღებს გადაწყვეტილებას დაინტერესებული პირის საკუთრების უფლების აღიარებაზე, უფლების რეგისტრაციის გზით. შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე რეფორმის ფარგლებში საკუთრების უფლების აღიარება ან/და რეგისტრაცია

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და დაინტერესებული პირის მიერ მიწის ფაქტობრივ მფლობელობის კუმულატიურ ერთობლიობას ეფუძნება, რაც შესაძლოა გახდეს საკანონმდებლო ცვლილების ინიცირების საფუძველი: „სისტემური რეგისტრაციის არეალში, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობისას მიწაზე, თუ არ დგინდება დოკუმენტში მითითებული პირის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ ფაქტობრივი ფლობა ან სხვა კანონიერი ინტერესი/ მესაკუთრის გულისხმიერება, საკუთრების უფლების აღიარება განხორციელდეს ქონების მართლზომიერი ფლობის ფაქტის დადგენის საფუძველზე, მფლობელობის განმახორციელებელი სუბიექტის სასარგებლოდ.“

10. დისერტაციაში განხილულია საქართველოს მთავრობის მიერ 2018 წლის 06 აგვისტოს მიღებული დადგენილება N400 „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უძრავი ქონების დეკლარირებისა და აღრიცხვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“.

